პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзо

გამოცემის მე-10 წელი

№ 48 (750) | ოთხშაბათი, 16 ივნისი, 1954 წ. | ფასი 30 კაპ.

მასების მებრძოლი ორგანიზატორები

სსრ კავშირის პროფკავშირთა XI ყრილობამ შეაჯამა X ყრილობიდან განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობა.

„საბჭოთა პროფკავშირები სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე ახორციელებდნენ კომუნისტური პარტიის პოლიტიკას, რომლის მიზანია საბჭოთა სახელმწიფოს ძლევამოსილების გაძლიერება, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის, ხალხის კულტურისა და კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობა.

თანამედროვე პირობებში კიდევ უფრო ძლიერდება საბჭოთა პროფკავშირების, როგორც კომუნიზმის სკოლის, როგორც მასების მებრძოლი ორგანიზატორების მნიშვნელობა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ საბჭოთა პროფკავშირები გააძლიერებენ თავიანთ როლს სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, უფრო აქტიურად დაეხმარებიან პარტიას მშრომელთა კომუნისტურად აღზრდის საქმეში, მათი შემოქმედებითი ძალების მობილიზაციაში სოციალისტური მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის, სოფლის მეურნეობისა და სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრი აღმავლობისათვის, კომუნისტური საზოგადოების აშენების დიადი საქმისათვის" — ნათქვამია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის პროფესიული კავშირების XI ყრილობისადმი მისალმებაში.

დიადი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით პროფკავშირებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს სახალხო-სამეურნეო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ფართო მასების მობილიზაციაში საბჭოთა პროფკავშირებმა მნიშვნელოვნად განამტკიცეს თავიანთი რიგები, უფრო ფართოდ დარაზმეს მუშები და მოსამსახურეები პარტიისა და მთავრობის გარშემო, რომელთაც მთელი საბჭოთა ხალხი მტკიცედ მიჰყავთ წინ კომუნიზმისაკენ

საბჭოთა პროფკავშირებმა დიდი როლი შეასრულეს აგრეთვე ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურული მოძრაობის აღმავლობაში. საანგარიშო მოხსენებაში საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ნ. მ. შვერნიკმა აღნიშნა, რომ: საანგარიშო პერიოდში პროფკავშირებმა განახორციელეს ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების განმტკიცების მთელი რიგი ღონისძიებანი, მიიზიდეს ასეულ ათასობით აქტივისტი — ორგანიზატორები და ინსტრუქტორები. ფიზკულტურის კოლექტივებისა და ფიზკულტურელთა რაოდენობა ამ ხანში ერთი ორად და მეტად გადიდდა. პროფკავშირთა ნებაყოფლობითმა სასპორტო საზოგადოებებმა მოამზადეს მილიონზე მეტი კვალიფიციური სპორტსმენი სსრ კავშირის ყველა რეკორდისა და ჩვენი ქვეყნის ჩემპიონობის წოდებათა ნახევარი ამჟამად პროფკავშირთა სპორტსმენებს ეკუთვნით.

პროფკავშირებში ყოველწლიურად ფართოვდება ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა. პროფკავშირთა სახსრებით აშენდა და შენდება კეთილმოწყობილი სტადიონები, სპორტული მოედნები, საწყლოსნო სადგურები, სათხილამურო ბაზები, ფიზკულტურის სახლები. მშრომელთა ფიზიკური გაჯანსაღების საქმეში მნიშვნელოვანი მოვალეობა აკისრიათ პროფკავშირთა ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებს, რომელთა ფიზკულტურულ სექციებში იწვრთნება და ოსტატდება მილიონობით ქალიშვილი და ჭაბუკი.

ჩვენი რესპუბლიკის პროფკავშირთა სპორტულმა საზოგადოებებმა უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს მშრომელთა შორის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა. დღითიდღე იზრდება და ორგანიზაციულად მტკიცდება სპორტსაზოგადოებათა ძირეული კოლექტივები, სისტემატურად ეწყობა რესპუბლიკური, საქალაქო, სარაიონო პირველობები სპორტის სხვადასხვა სახეობებში. მათში ასობით ახალგაზრდა მონაწილეობს.

მიმდინარე წელს მნიშვნელოვნად გადიდდა სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადების გეგმა. პროფკავშირების სპორტსაზოგადოებებმა უნდა მოამზადონ სპორტსმენ-თანრიგოსანთა მეტი რაოდენობა, ვიდრე რესპუბლიკის სხვა ორგანიზაციებმა. ეს კი პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებებისაგან მოითხოვს გააუმჯობესონ თავიანთი მუშაობა, ხშირად მოაწყონ შიდასაკოლექტივო, სარაიონო, რესპუბლიკური ღონისძიებები, რომლებიც ნიჭიერ სპორტსმენებს გამოავლენენ. ეს კი თავის მხრივ ხელს შეუწყობს, როგორც სპორტსმენ-თანრიგოსანთა გამოვლინებას, ისე ნიშნოსანთა მომზადებას.

ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივობა დიდადაა დამოკიდებული კეთილმოწყობილ სპორტულ ბაზებზე. სამწუხაროდ, ამ მხრივ ძალიან ცოტა კეთდება ჩვენს რესპუბლიკაში. სპორტული საზოგადოებები განიცდიან ბაზების მკვეთრ ნაკლებობას, მათს მშენებლობაზე კი ნაკლებად ზრუნავენ.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ პროფკავშირთა ნებაყოფლობითმა სპორტულმა საზოგადოებებმა გააძლიერონ მუშაობა, იბრძოლონ მშთ ნიშნოსნების, თანრიგოსნებისა და საზოგადოებრივი კადრების მომზადებისათვის, ფიზკულტურისა და სპორტის ახალი აღმავლობისათვის ჩვენი ძლევამოსილი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტთან შეიქმნა ფიზკულტურისა და სპორტის აგიტაციისა და პროპაგანდის რესპუბლიკური სექცია შემდეგი შემადგენლობით. ა. ბელიაშვილი — მწერალი, ა. გაჩეჩილაძე — საქართველოს რადიოკომიტეტის საბავშვო გადაცემათა რედაქტორი, მ. გორგაძე — ფიზკულტურის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, დოცენტი, მ. კაკაბაძე — გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქტორი, ლ. კიკნაძე — კულტურის სამინისტროს კულტ-საგანმანათლებლო სამმართველოს უფროსის მოადგილე, დ. კინწურაშვილი — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ფიზკულტურული განყოფილების გამგე, ლ. ხოტივარი — კინორეჟისორი, ზ. ჯაფარიძე — გაზეთ „ლელოს" პასუხისმგებელი მდივანი. სექციის თავმჯდომარეა მ. კაკაბაძე.

კუიბიშევის სტენდზე ჩატარდა ექვსი ქალაქის მატჩი სასტენდო სროლაში. მონაწილეთა შორის იყო 16 სპორტის ოსტატი. შეჯიბრებაში წარმატებით გამოვიდა თბილისის გუნდი, რომელმაც სანგრიდან ამოფრენილ სამიზნეზე ადგილიდან სროლაში პირველი ადგილი დაიკავა (536 ქულა). მეორეზეა კუიბიშევის, მესამეზე — გორკის მსროლელები. მრგვალ სტენდზე სროლაში პირველობა წილად ხვდა ბაქოს გუნდს, თბილისის კოლექტივი მეორე ადგილზე გამოვიდა. პირად ჩათვლაში აფრენილ სამიზნეებზე სროლაში წარმატებას მიაღწია როსტოველმა სპორტის ოსტატმა ნ. მოგილევსკიმ. თბილისელი სპორტის ოსტატი ზ. მაჩხანელი, რომელმაც 187 ქულა მოაგროვა, მეორე ადგილზე გამოვიდა. მესამეზეა ბ. ანტონოვი (თბილისი). მრგვალ სტენდზე მსროლელთა შორის უძლიერესი აღმოჩნდა თბილისელი სპორტის ოსტატი პ. სარქისოვი.

სურათზე: სპორტის ოსტატი თბილისელი პ. სარქისოვი (მარცხნივ) ბაქოელ ს. სალიმოვთან ერთად, რომლებმაც შესაბამისად დაიკავეს პირველი-მეორე ადგილები.

ფოტო ა. ხაიჩინშვილისა

ევროპის პირველობა კალათბურთში

ბელგრადში დამთავრდა ევროპის პირველობის გათამაშება კალათბურთში ქალთა შორის. პირველი ადგილი და ევროპის ჩემპიონის წოდება მოიპოვა საბჭოთა კავშირის გუნდმა. მეორე ადგილზე გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის კალათბურთელთა კოლექტივი, მესამეზე — ბულგარეთის სპორტსმენები. მომდევნო ადგილები ასე განაწილდა: უნგრეთი, იუგოსლავია, საფრანგეთი, იტალია, ავსტრია, დასავლეთ გერმანია და დანია.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ მოეწყო ჩემპიონატის მონაწილეთა პარადი. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის მელოდიის ქვეშ ჩვენი ქვეყნის სპორტსმენებს გადაეცა კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის გარდამავალი თასი, ბელგრადის სახალხო კომიტეტის ოქროს თასი და ჩემპიონის ოქროს მედლები.

დიდი უპირატესობით

თბილისში სტუმრად ჩამოსული ქ. ორჯონიკიძის მოჭადრაკეები შეხვდნენ თბილისის განათლების განყოფილების სპორტსკოლის მოჭადრაკეთა ნაკრებ გუნდს

ნორჩმა მოჭადრაკეებმა ჩინებულად ითამაშეს. გ. მაჭავარიანმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ა. კოლესნიკოვთან. ი. ჩიქოვანი-ლ. კლიაჩკოს პარტიაში გაიმართა კომბინაციური თამაში. ფიგურის შეწირვით ჩიქოვანმა მძლავრი იერიში მიიტანა შავების მეფეზე და გაიმარჯვა. თავიანთი პარტიები მოიგეს აგრეთვე გ. ქალატოზიშვილმა, ა. მღებროვმა, გერსამიამ, ი სმირნოვმა და მანანა ტოგონიძემ. 13 წლის მარინე სტატნიკოვამ (თბილისი) შეხვედრა მასლოვასთან ცხარე ბრძოლის შემდეგ ყაიმით დაამთავრა.

მატჩის ანგარიშია 8 : 2 თბილისელ მოსწავლეთა სასარგებლოდ.

მ. ცალქალამანიძე—სპორტის ოსტატი

ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაციის მოთხოვნათა ნორმატივების შესრულებისათვის, სსრ კავშირის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა თავისუფალ ჭიდაობაში სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა მ. ცალქალამანიძეს (თბილისი, „შრომითი რეზერვები").

პარაშუტისტების მსოფლიო რეკორდები

უკრაინის დოსააფის ცენტრალური აეროკლუბის [illegible] ჯგუფმა ე. ზაბოიარკინის, ვ. ივკოვიჩის, ვ. ჩუხაჩოვის, ნ. დერგუნოვის, პ. კალიტას, ი. პილნიკის, ს კონოვალოვის, ნ. შმატოვის და ვ. ბელოცვეტოვის შემადგენლობით დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი სიმაღლიდან ჯგუფურ ხტომაში (პარაშუტის დაუყოვნებელი გახსნით) 7.197 მეტრ სიმაღლიდან.

რეკორდის დამყარების მეორე დღეს ვ. ჩუხაჩოვმა, ნ. დერგუნოვმა, პ. კალიტამ, ი პილნიკმა, ს. კონოვალოვმა, ნ. შმატოვმა და ვ ბელოცვეტოვმა ამავე სახეობაში ახალი რეკორდი დაამყარეს. მათ თვითმფრინავი დატოვეს 8.664 მეტრის სიმაღლეზე.

ინდივიდუალურ ხტომაში ამ სახეობაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა ე. ზაბოიარკინმა, რომელიც გადმოხტა 9.164 მეტრის სიმაღლიდან.

სსრ კავშირის ვ პ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის საავიაციო სპორტულმა კომისიამ დაამტკიცა საბჭოთა პარაშუტისტების მიღწევა და მასალები გაგზავნა საერთაშორისო საავიაციო ფედერაციაში მსოფლიო რეკორდებად დასამტკიცებლად.

ტულის ტრეკზე

ტულა. (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.). ტულის ტრეკზე დამთავრდა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ველოსიპედისტთა შეჯიბრება. მსოფლიო რეკორდსმენმა რ. ვარგაშკინმა (მოსკოვი) 500 მეტრი სვლით დაფარა 30 წამში. ეს შედეგი 1,7 წამით აღემატება მისივე საკავშირო რეკორდს და მხოლოდ 0,2 წამითაა ნაკლები ფრანგი პროფესიონალი ველოსიპედისტის ლ. მიშარის მიერ 1932 წელს დამყარებულ მსოფლიო რეკორდზე.

რამდენიმე დღის წინ, ახალგაზრდა ტულელმა ველოსიპედისტმა ქალმა ლ. რაზუვაევამ გააუმჯობესა ვ. მაქსიმოვას რეკორდი 200 მეტრზე სვლით. ამჯერად მაქსიმოვამ დაიბრუნა რეკორდი და აჩვენა 12,9.

ჭაბუკთა ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა ე. გუსევმა (ტულა) 1.000 მეტრზე სვლით. მან აჩვენა 1 : 10,4. გაუმჯობესებულ იქნა აგრეთვე ჭაბუკთა რეკორდი 500 მეტრზე ადგილიდან, რომელიც ვარგაშკინს ეკუთვნოდა. ტულელმა ბ. სავოსტინმა დისტანცია დაფარა 36.4 წამში.

მშვიდობისათვის, მეგობრობისათვის!

საერთაშორისო სპორტული შეჯიბრებანი ბერლინში

ბერლინში საზეიმოდ გაიხსნა სრულიად გერმანიის ახალგაზრდობის მეორე შეკრება.

შეკრებაზე საპატიო სტუმრებად მოწვეული იყვნენ საბჭოთა კავშირის, დემოკრატიული ქვეყნებისა და სხვა სახელმწიფოთა ახალგაზრდული დელეგაციები, რომელთა შორის იყვნენ სპორტსმენებიც.

შეკრების საზეიმო გახსნას 70 ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო ბერლინის ვალტერ ულბრიხტის სახელობის სტადიონზე. ფანფარების ხმაზე სტადიონის მთავარ შესასვლელში გამოჩნდა გერმანელი ჭაბუკებისა და გოგონების კოლონები. ისინი მოეწყვნენ მწვანე მოედანზე მთავარი ტრიბუნის წინ. სტადიონზე შემორბის სპორტსმენთა ჯგუფი, რომელსაც წინ მიუძღვის ცნობილი გერმანელი სპორტსმენი ე. შრედერი. მას ხელში აქვს მშვიდობის ესტაფეტა. მქუხარე აპლოდისმენტების ქვეშ შრედერმა ესტაფეტა გადასცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ვალტერ ულბრიხტს. გერმანიის თავისუფალი ახალგაზრდობის კავშირის თავმჯდომარემ ე. ჰონეკერმა შეკრება გახსნილად გამოაცხადა.

დაიწყო მძლეოსნური შეჯიბრებანი. ვაჟთა რბენა 200 მეტრზე მოიგო შრედერმა — 21,7. 400 მეტრზე ფინიშთან პირველი იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი ბრომბერგერი — 49,4. მეტად საინტერესო იყო რბენა 1.500 მეტრზე, რომელიც დამთავრდა უნგრელი გარაის გამარჯვებით — 3:54,6.

მაყურებლები დიდი ყურადღებით ადევნებდნენ თვალს თარჯრბენს 110 მეტრზე. ერთნაირი შედეგი 14.7 ჰქონდათ საბჭოთა კავშირის სპორტსმენს ბულანჩიკსა და რუმინელ ოპრიშს, მაგრამ ფინიშის ხაზთან მკერდით წინ იყო ბულანჩიკი. ორი გარბენი ჩატარდა თარჯრბენში 400 მეტრზე. ორივე შემთხვევაში პირველ ადგილებზე გამოვიდნენ საბჭოთა მძლეოსნები — მსოფლიო რეკორდსმენმა ლიტუევმა აჩვენა 51,1, იულინმა — 51,9.

ჭოკით ხტომაში პირველი ორი ადგილი დაიკავეს სსრ კავშირის წარმომადგენლებმა. ჩერნობაის შედეგია 4 მ 30 სმ, დენისენკოსი — 4 მ. 20 სმ. საბჭოთა სპორტსმენმა ვ. კუზნეცოვმა შუბი ტყორცნა 76 მეტრსა და 04 სანტიმეტრზე. გრიგალკამ ბირთვი ჰკრა 16 მ 72 სმ. ქალთა თარჯრბენი 80 მეტრზე დამთავრდა მ. გოლუბნიჩაიას (სსრკ) გამარჯვებით — 11,3. სიმაღლეზე ხტომაში პირველი ადგილი დაიკავა ა. ჩუდინამ, რომლის შედეგია 1 მ 68 სმ.

დიდი მძლეოსნური შეჯიბრება გაიმართა ლ. იანის სახელობის სტადიონზე, სადაც მსოფლიო რეკორდსმენმა გ. ზიბინამ ბირთვი ჰკრა 15 მ 62 სმ, ხოლო გრიგალკამ ბადრო ტყორცნა 50 მ 72 სმ.

მარქს — ენგელს პლაცზე გაიმართა საბჭოთა და გერმანელი ტანმოვარჯიშეების ამხანაგური საჩვენებელი გამოსვლები.

შეჯიბრების მეორე დღეს პირველი ადგილი უროს ტყორცნაში დაიკავა მ. კრივონოსოვმა. მისი შედეგი 61 მეტრი 11 სანტიმეტრი ახალი საკავშირო რეკორდია. შუბის ტყორცნაში გამარჯვებულები გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის მძლეოსნები კონიაევა — 53 მ 15 სმ და ჩუდინა — 48 მ 48 სმ. რბენაში 800 მეტრზე ქალთათვის მსოფლიო რეკორდსმენმა ნ. ოტკალენკომ აჩვენა 2 : 16,6.

საბჭოთა შტანგისტები ამხანაგურ შეჯიბრებაში შეხვდნენ გერმანელ ძალოსნებს. პირველი ადგილები ყველა წონით კატეგორიაში დაიკავეს საბჭოთა ძალოსნებმა — ფარხუტდინოვმა (305 კგ), ბრონშტეინმა (320 კგ), ფალამეევმა (352 კგ), ლუგანოვმა (380 კგ), ხუშკარიოვმა (390 კგ), მატიუხამ (402,5 კგ) და ნოვიკოვმა (420 კგ).

ზოგიერთი შენიშვნები მრავალდღიან ველორბოლაზე

მრავალდღიანი ველორბოლა, რომელიც რესპუბლიკებში კარგ ტრადიციად დამკვიდრდა, ველოსიპედისტისაგან მეტ ტაქტიკურ და ტექნიკურ სრულყოფას, ფიზიკურ მომზადებას მოითხოვს. მრავალდღიანი ველორბოლის მონაწილე ვალდებულია იზრუნოს სისწრაფეზე, ამავე დროს თავისი შესაძლებლობები კარგად გაანაწილოს დისტანციაზე, უნდა ეცადოს არ ჩამორჩეს მთავარ ჯგუფს ტემპში და გამარჯვების მოსაპოვებლად სხვადასხვა ტაქტიკური ხერხები გამოიყენოს. ამასთანავე ასეთ რბოლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ველომანქანის მოვლის საკითხსაც. სპრინტში ველოსიპედისტი გადის ერთ კილომეტრს. აქ მანქანის დაზიანების ძალზე პატარა შანსებია, მაგრამ როდესაც სპორტსმენი ერთ დღეში ფარავს 139 კილომეტრიან დისტანციას და მომდევნო დღეებში ასეთივე მანძილი აქვს გასავლელი, მანქანის მოვლისა და უავარიოდ რბოლას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

რა გვიჩვენა ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე ამას წინათ დამთავრებულმა მრავალდღიანმა ველორბოლამ? როდესაც ველორბოლის ხარისხზე, მონაწილეთა მომზადებასა და საბოლოო შედეგებზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ დისტანციის პროფილს. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ველორბოლის დისტანცია საკმაოდ რთული და ძნელად გასავლელი იყო.

მსაჯთა კოლეგიამ (მთავარი მსაჯი ტ. კიკნაველიძე) მიუხედავად მთელი რიგი ნაკლოვანებებისა, ასპარეზობა მთლიანად კარგად ჩაატარა. ანგარიშგასაწევია მრავალდღიანი ველორბოლის ჩატარების არასაკმაო გამოცდილება და ამავე დროს მეორე ჯგუფის სპორტსმენთა შეჯიბრებაც. მსაჯთა კოლეგია ფაქტიურად მომსახურებას უწევდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ორ შეჯიბრებას სწორედ ამიტომ, მთავარი მდივანი, მესტარტე და დროის აღმრიცხველები მისცემდნენ რა სტარტს ჯერ რაიონების წარმომადგენლებს, შემდეგ მთავარ ჯგუფს, ფინიშსაც ასეთი თანრიგდევრობით იღებდნენ. იქმნებოდა ერთგვარი დაძაბულობა მეორე ჯგუფის სპორტსმენთა მოლოდინში. შიში იმისა, ვაი თუ ძირითადი ჯგუფის ფინიშს ვერ მოუსწროთო და სხვ. მომავალ შეჯიბრებაზე აუცილებლად გათვალისწინებულ უნდა იქნას მეორე ჯგუფის სპორტსმენთა მომსახურებისათვის დამატებით მსაჯთა აპარატის გამოყოფა.

მრავალდღიანი ველორბოლის ჩატარება ტექნიკური დახმარების მანქანების გარეშე წარმოუდგენელია. ველოსიპედისტს ავარიის შემთხვევაში ამ მანქანამ საჭირო დახმარება უნდა აღმოუჩინოს (რასაკვირველია ტექნიკური პერსონალის ჩარევის გარეშე). აღნიშნულ შეჯიბრებას მომსახურებას უწევდა ტექდახმარების ორი მანქანა. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ მანქანათა რაოდენობა ასეთი დიდი შეჯიბრებისათვის საკმარისი არ იყო. ტექნიკური დახმარების პირველი მანქანა, როგორც წესი, მიყვება ლიდერთა ჯგუფს. ერთი მანქანა აუცილებელია ჩამორჩენილთათვის, ხოლო ისინი, ვინც მოდიოდნენ შუაში, ყველაზე არახელსაყრელ მდგომარეობაში იყვნენ. იყო შემთხვევები როდესაც მანქანა უზიანდებოდა სპორტსმენს, რომელიც ლიდერთა ჯგუფს და ე. ი. პირველ ტექნიკურ მანქანას მიყვებოდა 300-500 მეტრით უკან. დაზარალებულს უხდებოდა მეორე ტექდახმარების მანქანისათვის დაცდა, რომელიც ხშირად 15-20 წუთის შემდეგ გამოჩნდებოდა. ეს რასაკვირველია სპორტსმენის ტექნიკურ შედეგზე უარყოფითად მოქმედებდა. მომავალში საჭირო იქნება კიდევ ერთი ტექნიკური დახმარების მანქანა, რომელიც დისტანციის შუანაწილს მოემსახურება. უნდა ითქვას ისიც, რომ ტექდახმარების მანქანები ყველა საჭირო და ამავე დროს მაღალხარისხოვანი ინვენტარით არ იყო უზრუნველყოფილი.

ახლა თვით რბოლის მონაწილეთა ტექნიკურ და ტაქტიკურ მომზადებაზე. შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ ჩვენი რესპუბლიკის ველოსიპედისტებს წარმატებით შეუძლიათ დაძლიონ მრავალდღიანი რბოლის ასეთი რთული დისტანცია. სპორტსმენთა ნაწილისათვის ძნელი იყო მხოლოდ პირველი ეტაპების გავლა. მაგრამ ერთია საერთოდ დისტანციის გავლა, სხვაა რბოლის სწორი ტაქტიკით წარმართვა. აქ კი ბევრი სპორტსმენი მოიკოჭლებდა, მათ შორის უძლიერესებიც. მთელი რბოლის განმავლობაში გააზრებულად მოქმედებდა მხოლოდ სპორტის ოსტატი ვ. ძებნიაური და მან პირველი ადგილიც დამსახურებულად მოიპოვა. ამას ვერ ვიტყვით მეორე ადგილზე გამოსულ ა. სეფერიანზე, რომელიც ფიზიკურად კარგად იყო მომზადებული ველორბოლისათვის, მაგრამ უხეშ ტაქტიკურ შეცდომებს უშვებდა. იყო შემთხვევები, როდესაც სეფერიანს შეეძლო იმ უმნიშვნელო წუთების ანაზღაურება, რასაც იგი ლიდერთან აგებდა, მაგრამ ტაქტიკურმა მოუმზადებლობამ მას ამის საშუალება არ მისცა. ასე იყო ეტაპზე ქუთაისი-ზუგდიდი. როდესაც ძებნიაური წინ გაიჭრა, სეფერიანი სწორედ მას უნდა დადევნებოდა, რადგან ძებნიაური იყო მისი მთავარი მეტოქე. მაგრამ მან რატომღაც ჯგუფთან ერთად წამოსვლა ამჯობინა. ეტაპზე ფოთი-ბათუმი წინ იყო „სპარტაკის" ოთხი ველოსიპედისტი, ესე იგი გუნდის ინტერესები აქ უკვე მოგვარებული იყო. ამ დროს ძებნიაურს მანქანა დაუზიანდა. ეს მომენტი სეფერიანს უნდა გამოეყენებინა წინ გავარდნისათვის, მაგრამ მან აირჩია ნელი ტემპით ხვლა და ამით საშუალება მისცა ძებნიაურს, ჯგუფს დაწეოდა. ძებნიაურისათვის დაცდას აზრი ექნებოდა (ორივე, ძებნიაურიც და სეფერიანიც სპარტაკელია), რომ ლიდერთა ჯგუფში სპარტაკელების გარდა მათი მთავარი კონკურენტი, „დინამოს" ველოსიპედისტებიც ყოფილიყვნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ველორბოლის პირველი ნახევარი არასახარბიელო აღმოჩნდა ჯოხაძისათვის, მან შემდეგში საგრძნობლად გააუმჯობესა მდგომარეობა და საერთო მეოთხე ადგილზე გამოვიდა. უნდა ითქვას ისიც, რომ ჯოხაძემ ძებნიაურის შემდეგ ფინიშთა ყველაზე მეტი რაოდენობა მოიგო. ეს იმიტომ, რომ ჯოხაძე სპრინტერია და თუ ფინიშთან ჯოხაძე ჯგუფთან ერთად მიდის, უკანასკნელ მეტრებზე იგი ყოველთვის გაასწრებდა მოწინააღმდეგეებს.

არასწორად, ტაქტიკურად გაუმართავად ჩაატარეს თითქმის მთელი ველორბოლა „დინამოს" წარმომადგენლებმა. „დინამოს" რიგებში იყვნენ ფიზიკურად კარგად მომზადებული ველოსიპედისტები, რომელთა შორის გამოირჩეოდა ახალგაზრდა, ნიჭიერი ქ. შენგელია. უკანასკნელ ეტაპზე ხაშური-თბილისი, შენგელიას მანქანა დაუზიანდა. ნაცვლად იმისა, რომ დინამოელებს გუკასიანსა და პოლოსიანს, რომლებიც ლიდერთა შორის იყვნენ, შეენელებინათ ტემპი (მათ გარდა ლიდერთა ჯგუფში ოთხი სპარტაკელი იყო), ისინი ჯგუფს სათავეში ჩაუდგნენ და მოუმატეს ტემპს. ამით შენგელიას არ მისცეს ლიდერთა ჯგუფის დაწევის საშუალება.

უნდა აღინიშნოს სახელმწიფო ავტო-ინსპექციის წარმომადგენლის ნ. მაისურაძის კეთილსინდისიერი და ენერგიული მუშაობა, რომელმაც ჩინებულად უზრუნველყო ველორბოლის ტრასის განტვირთვა, განსაკუთრებით ძნელ და საშიშ ადგილებში.

ა. ბუნია,
სპორტის ოსტატი.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

ამას წინათ რედაქციამ მიიღო მამხილებელი წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ქობულეთის ფეხბურთის სტადიონი მოუწყობელია.

როგორც სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს" რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ნაჭყებია გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. ამჟამად მიღებულია ზომები სტადიონის კეთილმოწყობისათვის.

სურათზე: სახალხო მეურნეობის განვითარების ახალ სესხზე ხელის მოწერა ფიზკულტურის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში.

ქუთაისელ მოსწავლეთა სპარტაკიადა

ჩვენი ქვეყნის დაწყებით და საშუალო სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა წარმოადგენს სასკოლო პედაგოგიური პროცესის განუყოფელ ნაწილს. იგი მიზნად ისახავს დაეხმაროს სკოლას ბავშვის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში, ფიზიკურად ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის ჩამოყალიბებაში. ამიტომაც ქუთაისის სკოლებში სათანადო ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას. ამ მიზანს ემსახურებოდა ქუთაისის განათლების განყოფილების მიერ 21 აპრილიდან 23 მაისამდე ჩატარებული მოსწავლეთა XI სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში შედიოდა სპორტული ტანვარჯიში, მძლეოსნობა, კალათბურთი, ფრენბურთი, ცურვა, სროლა და ველოსპორტი.

სპარტაკიადაში მონაწილეობა მიიღო ქალაქის ყველა რვაწლიანი და საშუალო სკოლის 960 მოსწავლემ. მათ შორის 521 გოგონა იყო. აღნიშნულმა შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ ქალაქის ბევრ სკოლაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა მაღალ დონეზე დგას.

სპარტაკიადას კარგად მომზადებული შეხვდნენ და პროგრამით გათვალისწინებულ სპორტის ყველა სახეობაში მიიღეს მონაწილეობა ვაჟთა პირველი (მასწავლებლები გ. ბზიკაძე და ვ. ლოსაბერიძე), მეცხრე საშუალო (მასწავლებლები გ. დანელია და დ. ჩირაძე) და მეხუთე რვაწლიანში (მასწავლებელი მ. ყუფარაძე) სკოლებმა.

ქალთა გუნდებიდან სპარტაკიადაში აქტიურად მონაწილეობდნენ პირველი, მეხუთე და მეცამეტე სკოლების კოლექტივები (მასწავლებლები ნ. ცანავა, თ. ადამია, გ. ლორთქიფანიძე, თ. თორაძე). სპარტაკიადაზე 83-მა მოსწავლემ შეასრულა ჭაბუკთა თანრიგის ნორმა, თორმეტმა — მეორე თანრიგისა. დამყარებულ იქნა ქალაქის ორი რეკორდი, ერთი ქალთა სამხტომში, რომელიც ეკუთვნის ქალთა მეათე საშუალო სკოლის მოსწავლეს ნ. მაჭარაძეს, მეორე — მეცამეტე სკოლის მოსწავლე მიროშნიჩენკოს 100 მეტრზე რბენაში

ამჟამად ქალაქის სკოლები ენერგიულად ემზადებიან რესპუბლიკურ სპარტაკიადაში მონაწილეობის მისაღებად, რომლის წინასწარი შეჯიბრებები ფრენბურთსა და კალათბურთში უკვე დაიწყო (ბორჯომში).

სპარტაკიადას ჰქონდა ნაკლოვანი მხარეებიც. სკოლების ერთმა ნაწილმა ვერ შეძლო მონაწილეობა მიეღო პროგრამით გათვალისწინებულ ყველა სახეობაში. ასეთებია ვაჟთა მეორე, მერვე, მეთოთხმეტე, მეჩვიდმეტე, ქალთა მეორე, მეექვსე, მეთოთხმეტე, მეცხრე სკოლები. ისინი განიცდიან მოედნებისა და სპორტინვენტარის ნაკლებობას.

საჭიროა განათლების განყოფილებამ, ქალაქის სკოლების დირექტორებმა და ფიზკულტურის მასწავლებლებმა ორგანიზებულად წარმართონ რესპუბლიკურ სპარტაკიადაში მონაწილეობა. მაქსიმალურად გამოიყენონ ქალაქში არსებული ბაზები, ამ საქმეში აქტიურად ჩააბან მოსწავლეთა სასკოლო კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციები.

ვ. თვალთვაძე,
ქუთაისის ქალაქის სახალხო განათლების განყოფილების მეთოდისტი.

ოქუმელებმა დაივიწყეს ფიზკულტურა

გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ფიზკულტურული მუშაობა ერთ დროს სათანადო სიმაღლეზე იდგა. მაგრამ ამჟამად აქ კოლმეურნეთა ფიზიკურად გაჯანსაღების საქმე თვითდინებაზე მიუშვეს. საკმაოდ ცნობილი ოქუმელი სპორტსმენები უპატრონოდ არიან მიტოვებული. თუ 1951-52 წლებში ფიზკულტურის ძირეული კოლექტივი 413 წევრს აერთიანებდა, მიმდინარე წელს იგი 137-მდე შემცირდა.

ერთ დროს კეთილმოწყობილი სტადიონი, ახლა სავალალო მდგომარეობაშია. შესასვლელი ჩამონგრეულია, მოედანი სავსეა პირუტყვით, ხოლო სტადიონზე დაგუბებულ საკმაოდ მოზრდილ ჭაობში კამეჩები ნებივრობენ. გამქრალია სარბენი ბილიკებისა და სახტომი ორმოების კვალი.

უარეს მდგომარეობაშია სპორტული დარბაზი. იგი ჯერ კოლმეურნეობის საწყობად გადააქციეს, შემდეგ კი, როცა ჭერიდან წვიმა ჩამოვიდა, გაანთავისუფლეს და შიგ უპატრონოდ შეყარეს რამდენიმე ათასი მანეთის სპორტული ინვენტარი. ჩაშლილია სექციური მუშაობაც. ფიზკულტურის ძირეული კოლექტივის თავმჯდომარე ფასანია თვიურად ხელფასის სახით 500 მანეთამდე იღებს, საქმეს კი არ აკეთებს.

ოქუმში შექმნილი მდგომარეობა რაიონის ხელმძღვანელთა მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

პ. ლეთოდიანი

სურათზე: ტანვარჯიშის სექციის მეცადინეობა ფიზკულტური[illegible] ინსტიტუტში.

ფოტო მ. ზარგარიანისა

ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა თბილისის ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტური სადგური, რომელსაც გამოცდილი პედაგოგი მზია ერისთავი ხელმძღვანელობს.

ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგური სკოლისგარეშე დაწესებულებაა, რომელიც ხელს უწყობს მოზარდი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის, პიონერებისა და მოსწავლეების მიერ მშობლიური მხარის უკეთ შესწავლის, მოზარდი თაობის გაჯანსაღებისა და ფიზიკური გამოწრთობის საქმეს. სადგური 1952 წლიდან არსებობს.

თბილისის საექსკურსიო-ტურისტულ სადგურს, საქართველოს 10 ქალაქში გახსნილი აქვს ბაზები. მოძმე რესპუბლიკებიდან, ჩვენი ქვეყნის შორეული ქალაქებიდან, საქართველოს ყოველი კუთხიდან ჩამოსული ნორჩი ტურისტები ექვსი სხვადასხვა მარშრუტით მოგზაურობისას ეცნობიან საქართველოს.

1953 წლის იანვარში, ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგურის თაოსნობით, თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში მოეწყო ნორჩ მოგზაურთა პირველი რესპუბლიკური შეკრება. შეკრებაში მონაწილეობა მიიღეს და ერთმანეთს შთაბეჭდილებები გაუზიარეს გორელმა, ქუთაისელმა, თბილისელმა, სოხუმელმა, ჭიათურელმა და საქართველოს სხვა ქალაქებიდან ჩამოსულმა ნორჩმა მოგზაურებმა.

მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენდა აგრეთვე გასულ წელს ჩატარებული სპეციალური კონკურსი მშობლიური მხარის საუკეთესოდ შესწავლაზე. კონკურსში გამარჯვებული მოსწავლეებისათვის მოეწყო ექსკურსია ვოლგა-დონის არხზე.

გასულ ზაფხულს საქართველოს, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რესპუბლიკიდან და ქალაქიდან 1.200 ექსკურსანტი ეწვია. გულთბილმა მიღებამ, საინტერესო ექსკურსიებმა, თვალწარმტაცმა ბუნებამ მოხიბლა სტუმრები. მადლობის გრძნობითაა აღსავსე ვორონეჟელი, დაღესტნელი, სარატოველი, მოსკოველი, ლენინგრადელი, არხანგელსკელი პიონერების წერილები, რომლებიც მათ მიერ სპეციალურად გამოშვებულ კედლის გაზეთებშია მოთავსებული. აი, რას წერენ ტაშკენტელი ექსკურსანტები: „გულთბილად და მეგობრულად გვხვდებოდნენ ყველგან. მადლობა გულთბილი მიღებისათვის. ქართველო პიონერებო გვესტუმრეთ ტაშკენტში, გელით".

წლევანდელი სეზონისათვის სადგურმა უკვე მიიღო განაცხადები ლენინგრადიდან, მოსკოვიდან, პოლტავიდან, არხანგელსკიდან, კოსტრომიდან, უფიდან, კრივოი როგიდან, სტალინგრადიდან, მინსკიდან და მრავალ სხვა ქალაქიდან. ქერჩის პიონერთა სახლის ნორჩი მოგზაურები იწერებიან: „მთელი წლის განმავლობაში ვსწავლობდით დიდი ბელადის ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიას. ამ ზაფხულს გვსურს დავათვალიეროთ ბელადის სამშობლო".

თბილისის საექსკურსიო-ტურისტული სადგური დროულად უპასუხებს მრავალრიცხოვან შეკითხვებზე. ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა სკოლებს უგზავნის ყველა საჭირო ინსტრუქციას.

უკრაინის სსრ პოლტავის ოლქის მირგოროდის რაიონის დავით გურამიშვილის სახელობის საშუალო სკოლის მოსწავლეებს, სადგურმა გაუგზავნა სპეციალური მიმართვა, რომელშიც იგი იწვევს უკრაინელებს საქართველოში სამოგზაუროდ. მათთვის სპეციალურადაა შედგენილი მარშრუტი: თბილისი — თელავი — გორი — სურამი — ჭიათურა — ფოთი — სოხუმი. თბილისის საექსკურსიო-ტურისტული სადგური მირგოროდელ პიონერებს უფასო მომსახურებას თავაზობს.

აღნიშნული სადგური აწესრიგებს და ხელს უწყობს აგრეთვე მოსწავლეთა შორის სპორტული ტურიზმის დანერგვას. სადგურს განზრახული აქვს ამ ზაფხულს თრიალეთის ქედზე „სსრკ ტურისტის" ნიშნის მისაღებად მოაწყოს სამი სამთო ტურისტული ბანაკი. ამ ღონისძიების მიზანია მოამზადოს „სსრკ ტურისტის" 400 ნიშნოსანი.

ზაფხულის სეზონისათვის სადგური კარგად მოემზადა. იგი 20 ივნისისათვის ელოდება ნორჩ ექსკურსანტთა პირველ ნაკადს.

გ. გომართელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტულ საზოგადოებებში

◆

„ტრუდი“

ოც დღეს გრძელდებოდა სპორტსაზოგადოება „ტრუდის“ რესპუბლიკური სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო სპორტის 7 სახეობა.

პირველი ჯგუფის გუნდებიდან ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ფიზკულტურულმა კოლექტივმა პირველი ადგილი მოიპოვა მძლეოსნობაში, ფრენბურთში, ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთსა და სროლაში, თბილისის ავტოშემკეთებელი ქარხნის სპორტსმენებთან ერთად გაიყო პირველი-მეორე ადგილი კალათბურთში და მეორე ადგილზე გამოვიდა ცურვაში. ტრამვაელებმა მოაგროვეს 8,5 ქულა და საერთო პირველი ადგილი მოიპოვეს. მეორეზეა ავტოშემკეთებელი ქარხნის, მესამეზე — 26 კომისრის სახელობის ქარხნის სპორტსმენები.

მეორე ჯგუფის გუნდებიდან (აქ პირველობისათვის 27 კოლექტივი იბრძოდა) 16 ქულით გამარჯვება წილად ხვდათ „სოიუზდორპროექტის“ სპორტსმენებს, რომლებმაც სამი პირველი (ფრენბურთი, ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი) და ორი მეორე ადგილი მოიპოვეს. მეორე ადგილზეა ყრუ-მუნჯთა სპორტული კლუბი.

მესამე ჯგუფში (საშეფო საშუალო სკოლები) ქალთა გუნდებიდან გამარჯვება წილად ხვდა მე-15 სკოლის გუნდს, ვაჟთა კოლექტივებიდან 9-9 ქულით I-II ადგილი გაიყვეს № 18 და 46-ე სკოლის ფიზკულტურელებმა.

საინტერესო იყო შეჯიბრება რბენაში. ვაჟთა ამანათრბენში 4×100 ჩემპიონები გახდნენ ტ. ტ. ს-ის მორბენლები. 1.500 მეტრზე რბენა ნ. ზაგიევის გამარჯვებით დამთავრდა. 800 მეტრზე გაიმარჯვა ი. მერაბოვმა. 22-ე სკოლის წარმომადგენელმა ჯანგველაძემ ბადრო 33,15 მეტრზე ტყორცნა და ჩემპიონობა მოიპოვა ქალთა შორის.

რესპუბლიკური საბჭოს ახალი რეკორდით აღინიშნა შეჯიბრება ცურვაში. ამანათცურვაში გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ე. მაროტი, ვ. გაგოშვილი, ა. ტულუპოვი და შ. მგელაძე, ძველი რეკორდი 1.4 წამით გააუმჯობესა.

თავისუფალი სტილით 100 მეტრზე ცურვაში ვაჟთა შორის გაიმარჯვა ი. გამცემლიძემ. ამავე სტილით 200 მეტრზე უძლიერესი აღმოჩნდა ე. მაროტი (ორივე ყრუ-მუნჯთა საზოგადოება).

შეჯიბრება მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში წოლილა მდგომარეობიდან ჩატარდა. თბილისის მექანიკური ქარხნის წარმომადგენელმა ტ. ჩერედნიკმა 100 შესაძლებლიდან მოაგროვა 91 ქულა და გაიმარჯვა ქალთა შორის. ვაჟთა შორის ტ. ტ. ს-ის სპორტსმენმა მ. გავაშელმა 98 ქულა დააგროვა.

„კრასნოე ზნამია“

ლენინგრადში დამთავრდა „კრასნოე ზნამიას“ ცენტრალური საბჭოს 1954 წლის პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, საქართველოს, უკრაინის, უზბეკეთისა და სხვ. გუნდები, რომლებიც დაყოფილი იყვნენ ორ ჯგუფად.

პირველ ჯგუფში გამარჯვება წილად ხვდა ლენინგრადის სპორტულ კოლექტივს.

საქართველოს გუნდი მონაწილეობდა მეორე ჯგუფში. აქ მან სძლია ყველა მოწინააღმდეგეს და გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა.

• • •

თბილისში ოთხ დღეს გრძელდებოდა რესპუბლიკური საბჭოს პირველობის გათამაშება ფრენბურთში, რომელშიც თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, გორისა და სხვა ქალაქების ქალთა და ვაჟთა გუნდები მონაწილეობდნენ.

ვაჟთა გუნდებიდან რესპუბლიკის ჩემპიონობა წილად ხვდა გასული წლის ჩემპიონს ბათუმის მესამე ტყავის ქარხნის კოლექტივს, მეორე ადგილზე გამოვიდა თბილისის ტყავის ქარხანა, მესამეზე — ქუთაისის აბრეშუმსაქსოვი კომბინატი.

ქალთა გუნდებიდან გამარჯვება მოიპოვა ფაბრიკა „კომსომოლკამ“.

საერთაშორისო შეხვედრა

„დინამო“ (თბილისი) — „ჟირონდა“ (ბორდო)

თბილისელი ფეხბურთის მოყვარულები მოუთმენლად მოელოდნენ 14 ივნისის მატჩს საფრანგეთის პროფესიონალური გუნდის „ჟირონდას“ (ქ. ბორდო) და თბილისის „დინამოს“ შორის. ჩვენი სტუმარი ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია, რომლის რიგებში თამაშობენ მაღალი კლასის, მრავალი საერთაშორისო შეხვედრის მქონე ფეხბურთელები.

...საზეიმო მარშის ხმაზე ორივე გუნდი გამოვიდა მწვანე მოედანზე და ცენტრში მოეწყო. ფრანგ ფეხბურთელებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ამხანაგმა თ. სხირტლაძემ. საპასუხო სიტყვით გამოვიდა სტუმართა დელეგაციის ხელმძღვანელი ბ-ნი ჟ. პიეული. დინამოელებმა „ჟირონდას“ ფეხბურთელებს ცოცხალი ყვავილების თაიგულები და სამახსოვრო ვიმპელები გადასცეს.

საკავშირო კატეგორიის მსაჯის ნ. ბალაკინის (კიევი) სასტვენის ხმაზე ლოლობერიძემ ბურთი თამაშში შეიყვანა. სტუმრები მაშინვე დაეუფლნენ ბურთს და მარცხენა ფრთიდან ჯგუფად გავიდნენ „დინამოს“ საჯარიმო მოედანზე. თბილისელთა მცველებმა დროზე მოასწრეს კართან მისასვლელების დაკეტვა და დეგრანჟის დარტყმა მიზანს აცდა. იმავე წამს დინამოელებმა მეტად სწრაფად შეუტიეს, ფრანგებმა ვერ მოასწრეს უკან დახევა და ლოლობერიძე-კოტრიკაძე-კ. გაგნიძის კომბინაციის შემდეგ ბურთი ჩაუვარდა უმეთვალყუროდ დარჩენილ თოდრიას. ამ უკანასკნელმა ძლიერად დაარტყა, მაგრამ არა ზუსტად. კარგა ხნის განმავლობაში თბილისელთა თავდამსხმელები არ მოსცილებიან მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანს, ზედიზედ გავიდნენ კართან კოტრიკაძე, ლოლობერიძე, თოდრია, მაგრამ იერიშები გადამწყვეტი დარტყმით არ მთავრდებოდა. რამდენიმე კარგი კომბინაცია წამოიწყო მოედნის სიღრმიდან მახარაძემ. ერთ-ერთი ასეთი კომბინაცია მახარაძე-კ. გაგნიძე-ანთაძე-კ. გაგნიძე კარში ძლიერი დარტყმით დამთავრდა, მაგრამ ასტერსმა ნახტომით აიღო ბურთი.

◇

„ჟირონდა“ (საფრანგეთი, ქ. ბორდო) — ასტერსი, ოკური, თრნანდო, ნაბატი, გარიგა, ტელეჩია, დელიადერიიერი, ვოზნესკო, კორგიუ, დეგრანჟი, გარდიენი.

„დინამო“ (თბილისი) — მარღანია, ელოშვილი, რუსაძე, ხარჯველაძე, მახარაძე, ნ. გაგნიძე, კოტრიკაძე, კ. გაგნიძე, ლოლობერიძე, ანთაძე, თოდრია.

◇

მიუხედავად იმისა, რომ საერთო ინიციატივა „დინამოს“ მხარეს იყო, სტუმრები საკმაოდ ხშირად გადიოდნენ თბილისელთა მხარეს. „ჟირონდას“ ფეხბურთელები ჩინებულად თამაშობენ თავით, უაღრესად ზუსტი გადაცემა აქვთ, ყოველთვის პოულობენ თავისუფალ ადგილს კომბინაციის გაგრძელებისათვის. ისინი კარგად ფლობენ დრიბლინგის ტექნიკას, მაგრამ მას მეტწილად ადგილზე და ნელ ტემპში ასრულებენ, გარდა ამისა, ფრანგები გადამწყვეტ ფაზაში მწვავე გაგრძელებას ან კარში დარტყმას ამჯობინებენ უფრო საიმედო, მაგრამ ნაკლებ ეფექტურ და უშედეგო გადაცემას.

მაგალითად, „ჟირონდას“ ერთ-ერთი კონტრშეტევისას დელიადერიიერი კარგად გავიდა მარჯვენა ფრთაზე, სწრაფად გადაინაცვლა ცენტრისკენ და მეტად ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ კარში არ დაარტყა, მომენტი დაკარგა.

დინამოელები თამაშობდნენ გრძელი გადაცემებით, ბევრს და სწრაფად მოძრაობდნენ. კოტრიკაძე და კ. გაგნიძე გაცილებით ჯობნიდნენ მოწინააღმდეგეებს სისწრაფეში და კარგად იყენებდნენ ამ უპირატესობას. ბრწყინვალედ თამაშობდა ლოლობერიძე, რომლის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო გარიგამ.

„ჟირონდას“ ფეხბურთელები ერთი-ერთზე ბრძოლაში უმეტესად აგებდნენ დინამოელებთან, ამიტომ მოედნის შუაგულში ერიდებოდნენ მათთან შეხვედრას, კართან იხევდნენ და აქ ჯგუფურ ბრძოლაში იგერიებდნენ შეტევას. ეს თბილისელებს საშუალებას აძლევდა ხანგრძლივად დასახლებულიყვნენ მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე.

22-ე წუთზე ლოლობერიძე დრიბლინგით გავიდა მარჯვენა ფრთაზე და მოულოდნელად უკან გადასცა დიდი სისწრაფით გამოქანებულ კ. გაგნიძეს. გაგნიძემ 20 მეტრიდან შეუჩერებლივ დაარტყა კარში და შესანიშნავი გოლი გაიტანა — 1:0.

ორი წუთის შემდეგ ლოლობერიძემ და თოდრიამ მარცხნიდან შეუტიეს. ბურთი კარის წინ იქნა ჩაწოდებული, სადაც ანთაძემ მიიღო იგი და ბადეში გაგზავნა. 2:0.

30-ე წუთზე მახარაძე თავდამსხმელთა რიგებში ჩაება და მოთამაშეთა შორის შექმნილ დერეფანში ზუსტად გაუგრა ბურთი კ. გაგნიძეს, რომელიც სწრაფად გავიდა წინ, გამოიტყუა მეკარე კარიდან და მესამე ბურთი გაიტანა — 3:0.

მეორე ტაიმში თბილისელთა რიგებს გამოაკლდა მახარაძე. ნახევარდაცვაში გადაინაცვლა ანთაძემ, ხოლო ცენტრში დადგა კალოევი. ეს საგრძნობლად დაეტყო თამაშს. პირველი 10 წუთის განმავლობაში „ჟირონდას“ თავდამსხმელები არ მოსცილებიან თბილისელთა კარს. ტაიმის დასაწყისშივე ფრანგებს საჯარიმო დარტყმის უფლება მიეცათ 17 მეტრიდან. კორგიუმ დინამოელთა კედელში მოძებნა ხარვეზი და ძლიერად დაარტყა. მარღანიამ აიღო ძნელი ბურთი. რამდენიმე ხნის შემდეგ კართან გაიჭრა გარდიენი, რომელსაც ამ დღეს ფხიზლად დარაჯობდა ელოშვილი. მისი ძლიერი დარტყმა კარის ძელს მოხვდა. დელიადერიიერი, დეგრანჟი, ვოზნესკო დიდხანს ატარებენ ბურთს დინამოელთა კართან, ბევრს აწოდებენ ერთმანეთს, მაგრამ კარში ან არაზუსტად ან სულ არ არტყამენ. ერთ-ერთ მომენტში დელიადერიერმა კარის წინ ღიად დარჩენილ კორგიუს მიაწოდა, მაგრამ ელოშვილმა აკრობატულ ნახტომში თავით ააცალა მას ფეხებიდან ბურთი.

შემდეგ დინამოელებმა გამოასწორეს თამაში, ბურთმა მოედნის შუაგულში გადაინაცვლა, მაგრამ გუნდი გაცილებით ნელი ტემპით და სუსტად თამაშობდა, ვიდრე პირველ ტაიმში. 28-ე წუთზე ლოლობერიძემ ხელსაყრელი მდგომარეობიდან ბურთი თოდრიას გადააწოდა, რომელმაც საჯარიმო მოედნის კუთხიდან მეოთხე ბურთი გაიტანა.

ორივე გუნდში მოხდა ცვლილებანი. „დინამოში“ მარღანია და რუსაძე შეცვალეს სანაიამ და გოგლიძემ, სტუმართაგან მოედანი დატოვეს ვოზნესკომ და დეგრანჟმა, რომელთა მაგივრად გამოვიდნენ პარდო და დოი.

თამაში ფაქტიურად უკვე მოგებული ჰქონდა „დინამოს“, მაგრამ გონგის შემდეგ „ჟირონდამ“ კინაღამ თავი დააღწია მშრალ ანგარიშს. დოის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი შესანიშნავად მოიგერია სანაიამ.

თბილისელთა პირველი საერთაშორისო შეხვედრა მიმდინარე სეზონში დამთავრდა „დინამოს“ გამარჯვებით, ანგარიშით — 4:0.

ბ. ქორქია

• • •

სურათზე: (მარცხნივ) პირველი ბურთი „ჟირონდას“ კარში. მეორე ბურთი გააქვს ანთაძეს.

უცხოეთის ფეხბურთელები საბჭოთა კავშირში

13 ივნისს საბჭოთა სპორტული ორგანიზაციების მოწვევით მოსკოვს ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცენტრალური სპორტული კლუბის „ფორვერტსის“ ფეხბურთელთა გუნდი.

თავის პირველ შეხვედრას გერმანელი ფეხბურთელები ჩაატარებენ მოსკოვის „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე 16 ივნისს დედაქალაქის „ტორპედოსთან“.

• • •

საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა აგრეთვე დანიის საფეხბურთო კლუბის „ვეკინგის“ გუნდი, რომელიც 17 ივნისს ლენინგრადში შეხვდება სპორტული საზოგადოება „ზენიტის“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდს.

„ა“ კლასის ოსტატთა შეხვედრები

ცდსა — „სპარტაკი“ (მინსკი)

14 ივნისს მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის გუნდი და მინსკის „სპარტაკი“.

არმიელებმა კარგად ჩაატარეს შეხვედრა და მოიგეს იგი ანგარიშით 3:0.

• • •

„შრ. რეზერვები“ (ლენინგრადი) — „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)

ლენინგრადის ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე თამაშობდნენ ადგილობრივი „შრომითი რეზერვები“ და „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი). ერთადერთმა ბურთმა, რომელიც ლენინგრადელებმა გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში, გადაწყვიტა შეხვედრის ბედი მათ სასარგებლოდ.

• • •

„დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (კიევი)

გუშინ მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვისა და კიევის „დინამოს“ თანაკლუბელები.

საინტერესო შეხვედრა დამთავრდა კიეველთა გამარჯვებით ანგარიშით 4:3.

„ნეფტიანიკის“ გამარჯვება

ბაქოს „ნეფტიანიკის“ ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც საბჭოთა კავშირის პირველობაზე მონაწილეობს „ბ“ კლასის პირველ ქვეჯგუფში, ამჟამად ამხანაგურ შეხვედრებს ატარებს ფინეთის უძლიერეს გუნდებთან.

12 ივნისს „ნეფტიანიკი“ კლუბ კეშში შეხვდა ადგილობრივ გუნდს. მატჩი მოიგეს ბაქოელებმა ანგარიშით 5:0.

სსრ კავშირის პირველობა

გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასი

მდგომარეობა 16 ივნისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ კ.	14	7	5	2	22:15	19
„დინამო“ მ.	13	7	4	2	16:7	18
„სპარტაკი“ მ.	14	8	2	4	30:15	18
„დინამო“ თბ.	13	6	3	4	18:20	15
„შრ. რეზერვები“	13	4	6	3	15:10	14
ცდსა	13	4	6	3	12:9	14
„სპარტაკი“ მნ.	13	5	4	4	10:11	14
„კრ. სოვეტოვი“	14	6	2	6	11:12	14
„ტორპედო“ მ.	12	5	2	5	19:18	12
„ზენიტი“	12	3	3	6	12:19	9
„ლოკომოტ.“ ხ.	12	3	3	6	7:17	9
„ლოკომოტ.“ მ.	13	1	6	6	3:10	8
„ტორპედო“ გ.	13	0	6	7	6:18	6

„ბ“ კლასში

„ბ“ კლასის პირველ ქვეჯგუფში თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდმა თავისი მორიგი შეხვედრა ჩაატარა ლენინაბადში ადგილობრივ გუნდთან.

მატჩი დამთავრდა ქ. ლენინაბადის ფეხბურთელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

შეჯიბრება ხუთჭიდში

ბუდაპეშტი. აქ დამთავრდა ამხანაგური შეხვედრა საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სპორტსმენებს შორის თანამედროვე ხუთჭიდში.

ხუთი დღის დაძაბული ბრძოლის შემდეგ პირველი ადგილი 4.373 ქულით დაიკავა საბჭოთა სპორტსმენმა ი. სალნიკოვმა. გამარჯვებულმა ხუთჭიდის ცალკეულ სახეობაში აჩვენა შემდეგი შედეგები: ცხენოსნობა (3.000 მეტრი 23 დაბრკოლებით) — 5:24,0; ფარიკაობა — 24 გამარჯვება; სროლა — 180 ქულა 200 შესაძლებლიდან; ცურვა — 300 მ თავისუფალი სტილით — 4.28,5; კროსი 4 კმ — 16:15.0.

მეორე ადგილი დაიკავა უნგრელმა მესაროშმა — 4.269 ქულა, მესამე — საბჭოთა სპორტსმენმა ი. ნოვიკოვმა — 4 159 ქულა.

სამი საუკეთესო სპორტსმენის ჩათვლით სსრ კავშირის გუნდმა (სალნიკოვი, ნოვიკოვი და პ. რატნიკოვი) დაიკავა საერთო პირველი ადგილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკში წოდებათა შესახებ

პასუხი ბორჯომის „ქალაქმშენის" მუშა ნ. ხარატიშვილის შეკითხვაზე

მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა განმასხვავებელი წოდებებია — გროსმაისტერი და ოსტატი, რომლებიც შემოღებულ იქნა გასული საუკუნის მეორე ნახევარში.

ამ წოდებათა შორის ყველაზე უძველესია ოსტატი. ძველად ოსტატს უწოდებდნენ იმათ, რომლებიც ერთხმად იყვნენ აღიარებულნი უძლიერეს მოჭადრაკეებად. ოსტატის სახელს ოფიციალურად არავინ არ ანიჭებდა. უკანასკნელ დრომდე ოსტატების აღრიცხვა არ ხდებოდა, იმის გამო, რომ არ არსებობდა საერთაშორისო საჭადრაკო ორგანიზაცია, რომელსაც შეეძლო ამ მუშაობის ჩატარება. ამიტომ იყო, რომ დასავლეთ ევროპაში ოსტატები სოკოებივით მრავლდებოდნენ. ისინი, რასაკვირველია, ძალის მხრივ გაცილებით სუსტები იყვნენ, ვიდრე თანამედროვე ოსტატები. მხოლოდ 1947 წლის შემდეგ, როცა საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის (რომელიც შეიქმნა 1924 წელს) წევრი გახდა საბჭოთა საჭადრაკო ორგანიზაცია, შემუშავდა და დადგინდა ოსტატობის მინიჭების საერთო წესები. შემოღებულ იქნა ეროვნული ოსტატებისაგან განმასხვავებელი საერთაშორისო ოსტატის სახელი.

საბჭოთა კავშირში ოსტატის წოდების მინიჭებას ორგანიზებული ხასიათი მიეცა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების დღიდან. საბჭოთა ოსტატის საპატიო წოდება პირველად მიიღო პ. რომანოვსკიმ.

დღეს, ოსტატის სახელის მოპოვებისათვის მოჭადრაკემ მონაწილეობა უნდა მიიღოს მთელ რიგ შერჩევით შეჯიბრებაში, რათა მოხვდეს საკავშირო პირველობის ნახევარფინალში, სადაც შესაძლებელია ოსტატის სახელის დამსახურება. ამისათვის კი ამ შეჯიბრებაში საჭიროა მოჭადრაკემ მოაგროვოს ქულათა დაწესებული რაოდენობა, რომელიც, როგორც წესი, აღემატება შესაძლებელ ქულათა 50 პროცენტს. მოჭადრაკისათვის, რომელიც დაოსტატების გზაზე დგას, შემოღებულია დამატებითი განმასხვავებელი სახელი — ოსტატობის კანდიდატი. ამჟამად საბჭოთა კავშირში ჭადრაკის 85 ოსტატია.

გროსმაისტერის საპატიო წოდებასთან დაკავშირებით ბევრ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი. გროსმაისტერის სახელი პირველი მსოფლიო ომის წინ შემოიღო გამოჩენილმა გერმანელმა მოჭადრაკემ ზ. ტარაშმა. იგი ამ სახელით განასხვავებდა იმ ოსტატს, რომელსაც ერთხელ მაინც აუღია პირველი პრიზი საერთაშორისო ტურნირში.

გროსმაისტერის წოდებას ოფიციალურად არავინ ანიჭებდა. იგი ავტომატურად მიეკუთვნებოდა საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულ ოსტატს. ამის გამო, ზოგჯერ კურიოზებსაც ჰქონდა ადგილი. მაგალითად, საკმარისი იყო, დასავლეთ ევროპის ოსტატს ერთხელ გაემარჯვა უმნიშვნელო საერთაშორისო ტურნირში, რომ უკვე სავიზიტო ბარათის შეკვეთას აძლევდა ოქროს წარწერით: — „გროსმაისტერი". ამის შემდეგ იგი საეჭვო დიდებით კმაყოფილდებოდა და თავს არიდებდა შეჯიბრებებში მონაწილეობას. ამის მაგალითია გროსმაისტერი გრიუნფელდი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბერნშტეინს რომელიც არასოდეს არ გამოსულა საერთაშორისო ტურნირში პირველ ადგილზე, ასახელებდნენ გროსმაისტერად. დიდ გაკვირვებას იწვევს ისიც, რომ ცნობილი ჰოლანდიელი მოჭადრაკე მ. ეივე ისე გახდა მსოფლიო ჩემპიონი, რომ არ ყოფილა... გროსმაისტერი.

მხოლოდ საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციაში საბჭოთა მოჭადრაკეების შესვლით მოგვარდა ეს საკითხიც. დაწესდა საერთაშორისო გროსმაისტერის წოდება, რომელსაც საერთაშორისო შეჯიბრებებში თვალსაჩინო წარმატებისათვის თვითონ ფედერაცია ანიჭებს. ამჟამად მსოფლიოში 40-მდე გროსმაისტერია, ხოლო მათგან 15 საბჭოთა მოჭადრაკეა.

საბჭოთა კავშირში გროსმაისტერის წოდება ენიჭება მას, ვინც საკავშირო პირველობაში ერთხელ მაინც პირველ ადგილს აიღებს ან ორჯერ სამი წლის მანძილზე მეორე ან მესამე ადგილს დაიკავებს. საბჭოთა გროსმაისტერის სახელი 1935 წელს პირველად მიენიჭა მ. ბოტვინიკს. საბჭოთა გროსმაისტერები არიან: მ. ბოტვინიკი, ვ. სმისლოვი, პ. კერესი, ტ. პეტროსიანი, ა. კოტოვი, ე. გელერი, მ. ტაიმანოვი, დ. ბრონშტეინი, ი. ბოლესლავსკი, ვ. რაგოზინი, გ. ლევენფიში, ი. ავერბახი, ს. ფლორი, ი. ბონდარევსკი და ა. ლილიენტალი. გროსმაისტერი ვალდებულია ყოველ ხუთ წელიწადში, ისე როგორც ოსტატმა სამ წელიწადში ერთხელ, დიდ შეჯიბრებაში დაამტკიცოს თავისი მაღალი წოდება.

ჭადრაკში ყველაზე საპატიოა მსოფლიო ჩემპიონის წოდება. მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ოფიციალურად დაწესდა 1886 წელს. მსოფლიო ჩემპიონები იყვნენ ვ. სტეინიცი (1836-1900 წ.წ.), ე. ლასკერი (1868-1941 წ. წ.), ხ. კაპაბლანკა (1888-1942 წ. წ.), ა. ალიოხინი (1892-1946 წ. წ.), მ. ეივე და ამჟამად მ. ბოტვინიკი.

მსოფლიო ჩემპიონობაზე თამაში დამოკიდებული იყო ჩემპიონის ნებასურვილზე, სანამ საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციამ არ შეიმუშავა გათამაშების ახალი წესი. 1948 წლიდან მსოფლიო პირველობა ახალი სისტემით თამაშდება. ამის შესახებ არაერთხელ იყო მოთხრობილი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

თ. გიორგაძე.

«მზრუნველი ხელი»

— ვაჰიმ! დაგვეხმარე, მიდი დირექტორთან, თხოვე დაგვითმოს ტანვარჯიშული ბაქნის მიდამო, ნება დაგვრთოს გავასუფთაოთ მოედანი ნარჩენებისაგან, — მიმართეს თბილისის კერამიკული კომბინატის კომკავშირის კომიტეტის მდივანს ფიზკულტურელებმა, მაგრამ რა ქნას ვ. ნატროშვილმა, განა ცოტაჯერ შეაწუხა ამ საკითხზე კომბინატის დირექტორი ნ. ლამბაშიძე? განა ცოტაჯერ განიხილეს კომკავშირის კრებაზე მოედნების მოწყობის საკითხი? მაგრამ შედეგი არ ჩანს, ვერ დაიყოლიეს დირექტორი. სამი წლის წინ კომბინატის კომკავშირელებისა და ფიზკულტურელების ძალებით მოწყობილი ტანვარჯიშული ბაქანი გაპარტახებულია, ხოლო ფრენბურთის მოედნის კვალიც არა ჩანს.

ბაქოს იახტკლუბში გაიხსნა საზაფხულო საწყლოსნო-სპორტული სეზონი. სეზონის გახსნის დღეს ჩატარდა იახტკლუბის წევრთა პარადი. შემდეგ მოეწყო შეჯიბრება. სურათზე: იალქნიანი ნავების პარადი.

ფოტო ფ. შევცოვისა

ამოცანის პასუხები

გაზეთ „ლელოს" 44-ე ნომერში გამოქვეყნებული ი. კრიხელის ამოცანის სწორი პასუხები გამოგზავნეს: ფ. ნადირაძემ (ჭიათურა), პ. რამიშვილმა (მახარაძის რაიონი, ნატანების ჩაის საბჭოთა მეურნეობა), გ. ერთგულაშვილმა და ჯ. რეხვიაშვილმა (ახმეტის რაიონი, სოფ. ახმეტა), ვ. თაგანაშვილმა (კაჭრეთის რაიონი, სოფ. არაშენდა), პ. ვასაძემ (ზესტაფონი), ა. ფარცვანიამ (ზუგდიდი) და რ. მინდაძემ (კოჯრის საბავშვო სახლი).

პასუხია: 1 ლ b8—a7.

• • •

გაზეთ „ლელოს" 9 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „რომელი ფიგურით შამათდება მეფე?!" მოყვანილი ამოცანის პასუხია: კომპოზიტორმა ქეულემა დაასახელა პაიკი b2 და სწორედ ამ პაიკმა გამოაცხადა შამათი 5 სვლაში.

1. b2—b4 ეc8—c5+2.b4:c5 a3—a2 3. c5—c6 კd8—c7 4. c6:b7 და 5. b7 a8 ლ X.

სპორტული ქრონიკა

ამბროლაურის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა მოაწყო ველოგადარბენა — ამბროლაური-ონი-ამბროლაური. გადარბენაში მონაწილეობდა ამბროლაურის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის 12 მოსწავლე.

ა. მეტრეველი.

• • •

ლაგოდეხის კულტურის სახლში ჩატარდა შეჯიბრება მაგიდის ჩოგბურთში რაიონის პირველობაზე. პირველი ადგილი და რაიონის ჩემპიონის წოდება მოიპოვა შ. გოზალიშვილმა, რომელმაც ფინალში დაამარცხა უ. გუგუშელი.

მ. ხელაშვილი

• • •

ცხაკაიას კულტურის სახლში დამთავრდა საჭადრაკო ტურნირი ქალაქის პირად პირველობაზე. მონაწილეობდა 14 მოჭადრაკე.

პირველ ადგილზე გამოვიდა გ. ხოჭოლავა (10,5 ქულა), მეორე და მესამე ადგილები გაიყვეს ნ. ხაფავამ და კ. ნინუამ (10-10 ქულა)

ნ. ნანეიშვილი.

• • •

აბაშაში ჩატარდა რაიონის პირველობა ქართულ ჭიდაობაში, კრივსა და ძალოსნობაში. მონაწილეობა მიიღო 80-მა სპორტსმენმა.

კრივში პირველი ადგილი დაიკავა ნაესაკოვის საშუალო სკოლის გუნდმა. ქართულ ჭიდაობაში გაიმარჯვა სუჯუნის საშუალო სკოლის გუნდმა. განსაკუთრებით კარგი მომზადება გამოამჟღავნა მეორე თანრიგოსანმა თ. დადიანმა, რომელმაც ყველა შეხვედრა სუფთად მოიგო.

ჯ. ჩიქოვანი.

ყოველი მხრიდან

მძლეოსნობა, კრივი, ფეხბურთი...

უცხოეთის სპორტული პრესა დიდ ადგილს უთმობს ახალ შესანიშნავ სპრინტერს ტრინიდადელ აგოსტინის. იგი ამჟამად 19 წლისაა, სიმაღლე — 1 მ, 59 სმ; წონა — 65 კგ. ტრინიდადელმა პირველად ყურადღება მიიქცია გასულ წელს, როცა იამაიკაში მოუგო ოლიმპიურ ჩემპიონს სტენფილდს და 100 მეტრი გაირბინა 10,6 წამში. ამ შეჯიბრებიდან სულ ცოტა ხანს შემდეგ აგოსტინიმ 100 იარდი (91 მ, 42 სმ) გაირბინა 9,4 წამში, რაც 0,1 წამით ჩამორჩება მსოფლიო რეკორდს.

ამას წინათ ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართულ ერთ-ერთ შეჯიბრებაში აგოსტინიმ კვლავ დაამარცხა სტენფილდი და აშშ-ს ჩემპიონი ბრენი.

• • •

ცნობილი იამაიკელი სპრინტერი მაკ კინლეი გადავიდა პროფესიონალთა რიგებში და ამჟამად გასტროლებზეა ავსტრალიაში, სადაც მონაწილეობს პროფესიონალთა შეჯიბრებებში. ამას წინათ მაკ კინლეი მონაწილეობდა მელბურნში გამართულ რბენაში 130 იარდზე (118 მ. 87 სმ). იამაიკელმა ეს მანძილი დაფარა 11,9 წამში. საზღვარგარეთული პრესა აღნიშნავს, რომ ეს არის ყველაზე დიდი სიჩქარე, რაც ადამიანს განუვითარებია მძლეოსნობის ისტორიაში. აქამდე ყველაზე დიდი სისწრაფე ნაჩვენები იყო ამერიკელი პატონის მიერ 220 იარდზე (201 მ 17 სმ), რომელიც მან გაირბინა 20,2 წამში, ე. ი. საშუალო სისწრაფე 9,958 მ წამში, მაგრამ მაკ კინლეი წამში გარბოდა 9,989 მეტრის სისწრაფით, რაც საათში უდრის 35 კმ 960 მ.

• • •

ბრიუსელში მოეწყო დიდი საერთაშორისო შეჯიბრება ცურვაში ახალი საცურაო აუზის გახსნასთან დაკავშირებით. გერმანელმა კლეინმა 100 მ ბატერფლაით გაცურა 1:08,7. ჰოლანდიელმა ქალმა ვონკმა 100 მ. თავისუფალი სტილით დაფარა 1:08,2.

• • •

ავსტრალიაში დიდ იმედებს ამყარებენ ახალგაზრდა მოცურავე მ. როუზზე, რომელმაც 110 იარდი თავისუფალი სტილით გაცურა 1:00,6. იმავე შეჯიბრებაში 14 წლის ბ. ელიოტმა 440 იარდი დაფარა — 4:59,5.

• • •

არგენტინელმა პუნომ დაამყარა თავისი ქვეყნის ახალი რეკორდი 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში— 2:44,5.

• • •

დასავლეთ გერმანიის ჩემპიონი კრივში ე. კროსი დაპატიმრებულ იქნა ბერლინის დემოკრატიულ სექტორში ოპტიკური ხელსაწყოებით სპეკულაციისათვის.

• • •

ოსლო. აქ გაიმართა ნორვეგიისა და შოტლანდიის ფეხბურთელთა ეროვნული გუნდების შეხვედრა. საინტერესო თამაში დამთავრდა ფრედ 1:1. როგორც ცნობილია, ამ გუნდების პირველი შეხვედრა გლაზგოში შოტლანდიელებმა მოიგეს.

• • •

ჩიკაგო. ამერიკის შეერთებული შტატების და ევროპის მოკრივეთა ნაკრები გუნდების ტრადიციული მატჩის ანგარიშია 5.5.

• • •

სტოკჰოლმი. ერთმანეთს შეხვდნენ ჰოლანდიისა და შვეციის ფეხბურთელები. ჰოლანდიელებმა ვერ გაუწიეს ძლიერ მეტოქეს წინააღმდეგობა და წააგეს შეხვედრა 1:6.

• • •

რომი. დასასრულს უახლოვდება იტალიის 1954 წლის პირველობა ფეხბურთში. სათამაშო დარჩ[illegible]ლოდ ერთი ტური. გათამაშებაში წინ არის „ინტერნაციონალე", რომელსაც 64 შესაძლებლიდან მოგროვილი აქვს 47 ქულა. მეორე ადგილზეა „იუვენტუსი" — 46 ქულა.

• • •

ვენა. დამთავრდა ავსტრიის პირველობა ფეხბურთში. გათამაშებას დიდხანს ლიდერობდა გასული წლის ჩემპიონი „აუსტრია", მაგრამ რამდენიმე დამარცხებამ მეორე წრეში მას დაუკარგა პირველი ადგილის შანსები. ჩემპიონატის საბოლოო ცხრილი ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„რაპიდი"	26	18	5	3	96:43	41
„აუსტრია"	26	16	6	4	73:43	38
„ვაკერი"	26	12	7	7	72:42	31

• • •

ლონდონი. დამთავრდა ინგლისის პირველობა ფეხბურთში. 1954 წლის ჩემპიონის წოდება მოიპოვა „ვულვერჰემპტონმა".

• • •

ბუდაპეშტი. გამოქვეყნდა მსოფლიოს ხუთი საუკეთესო შუბისმტყორცნელის სია 1954 წლის სეზონის მიხედვით. პირველ ადგილზეა კუზნეცოვი (სსრკ) — 78 მ 19 სმ, შემდეგ მოდიან მილერი (ამერიკის შეერთებული შტატები)—77 მ. 94 სმ, სიდლო (პოლონეთი) — 75 მ. 02 სმ, ჰიუტიანენი (ფინეთი) — 73 მ. 67 სმ. ციბულენკო (სსრკ) — 72 მ. 73 სმ.

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ/მგ მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 04616